თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №8

თბილისი, 16 ოქტომბერი, 2024

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- რატი ბრეგაძე – კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- ბექა ძამაშვილი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
- მანანა ბეგიაშვილი – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- მიხეილ დუნდუა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
- გრიგოლ გიორგაძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- გელა გელაძე – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე;
- ნათია მერებაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- გიორგი კვარაცხელია – სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ლანა ბათლიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);
- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- მარიამ ნიშნიანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- გიორგი სანტურიანი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;
- ბექა ზეგარდელი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი;
- გიორგი ტაბატაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი;

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- ნატაშა როთჩაილდი – „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის დირექტორი;
- თამარ ბასილაია – თარჯიმანი/თანაშემწე, „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI);

- ანნა მელიქიანი – ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), სამართლებრივი ანალიტიკოსი;
- თაია არაბული – ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), თარჯიმანი/თანაშემწე;
- ბეატრიქს ბუნეკამპი – „არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელის“ (ENEMO) ანალიტიკოსი;
- მარიამ ციციშვილი – ასისტენტი/თარჯიმანი „არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელი“ (ENEMO).

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- დანიელ დავითაშვილი – ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე;
- გრიგოლ გაგნიძე – ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა რატი ბრეგაძემ, სხდომის გახსნის შემდგომ კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა;
2. საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის პროცესის დასრულების შედეგებისა და სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნების შექმნის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

3. კომისიის წევრების მოსმენა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ;
4. სხვადასხვა.

დღის წესრიგის შესაბამისად, სიტყვა გადაეცა ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსს, ბატონ გიორგი სანტურიანს, რომელმაც ისაუბრა საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის პროცესის დასრულების შედეგებისა და სხვა სახელმწიფოებში საარჩევნო უბნების შექმნის შესახებ.

მან აღნიშნა, რომ პარტიული სიების რეგისტრაციის პროცესი დასრულდა. მიმდინარე არჩევნებისთვის რეგისტრირებული იყო 27 პოლიტიკური გაერთიანება და მათ 26 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოედგინათ შესაბამისი პარტიული სიები, რომ საბოლოოდ რეგისტრაციაში გატარებულიყვნენ. თუმცა, ხუთმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ საერთოდ არ წარმოადგინა აღნიშნული სია, ერთმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ ვერ გამოასწორა პარტიულ სიასთან მიმართებით დადგენილი ხარვეზი, ხოლო სამმა პირადი განცხადებით გაიუქმა რეგისტრაცია. შესაბამისად, მიმდინარე არჩევნებისთვის ამომრჩეველს ბიულეტენზე დახვდება 18 პოლიტიკური გაერთიანება.

მისი თქმით, საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია სხვა სახელმწიფოებში შექმნილ უბნებთან მიმართებით მიმდინარე პროცესები. კანონმდებლობის თანახმად, არაუგვიანეს 26 სექტემბრისა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ჰქონდა ვალდებულება, რომ შეექმნა შესაბამისი საარჩევნო უბნები საქართველოს საგარეო საქმითა სამინისტროსთან თანამშრომლობით. შესაბამისად, 26 სექტემბერს შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ლოკაციაზე, ჯამში, 60 უბანი შექმნილიყო. თუმცა, შემდგომ დამატებით, 8 ოქტომბრის მდგომარეობით, შესაბამისი უწყებებიდან, ასევე, წარმოდგენილ იქნა ამომრჩეველთა შესახებ მონაცემები, ერთი მხრივ, საზღვარგარეთ რეგისტრირებული ამომრჩევლების შესახებ და, მეორე მხრივ, საკონსულო აღრიცხვაზე

მდგომი ამომრჩევლების შესახებ ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა დამატებით უბნების შექმნა და 60 უბანს დაემატა 7 საარჩევნო უბანი. ბატონი გიორგის თქმით, სულ 67 საარჩევნო უბანი მოემსახურება სხვა სახელმწიფოებში მყოფ ამომრჩევლებს. ამასთან, ჯამში, საზღვარგარეთ რეგისტრირებულია 95910 ამომრჩეველი.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ პირველ ინფორმაციაზე, რომელიც შეეხებოდა საქართველოს პრეზიდენტის, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის, მიერ მიმდინარე წლის 7 ოქტომბრის ბრიფინგზე გაკეთებულ განცხადებას („ამ სასახლეში არჩევნების დღეს იქნება მოწყობილი საკოორდინაციო პლატფორმა, რათა ჩვენ გავუწიოთ მონიტორინგი ყველაფერ იმას, რაც იმ დღეს მოხდება და ერთად შემდეგ გამარჯვებაც ვიზეიმოთ“) ისაუბრა კომისიის მდივანმა, ქალბატონმა მანანა ბეგიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ, კომისიის კომპეტენციის შესაბამისად, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციის მიზნით კომისიის სამდივნომ წერილობით მიმართა პრეზიდენტის ადმინისტრაციას უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან წარმომადგენლის დასწრებისა და აღნიშნულ საკითხზე განმარტების გაკეთების თაობაზე. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პოზიცია გვეცნობა წერილით, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 7 ოქტომბრის მიმართვა ემსახურებოდა მოწოდებას „26 ოქტომბერს თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლიანი საარჩევნო პროცესისა და არჩევნებში ამომრჩეველთა მაქსიმალური აქტივობის უზრუნველსაყოფად“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა გრიგოლ გაგნიძემ (ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ წარმომადგენელი). მისი თქმით, საქართველოს პრეზიდენტი არღვევს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და უგულებელყოფს საარჩევნო პროცესებს.

აზრი დააფიქსირა დანიელ დავითაშვილმაც (ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა

პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე). მისი თქმით, პრეზიდენტი არ არის საარჩევნო სუბიექტი და როდესაც ის იწვევს სასახლეში პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლებს და სათავეში უდგება მათ, საყურადღებო საკითხია და სჭირდება შესაბამისი შეფასება.

კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა რატი ბრეგაძემ, აღნიშნა, რომ პრეზიდენტის ზემომითითებულმა განცხადებამ ნამდვილად გამოიწვია გარკვეული კითხვის ნიშნები. სწორედ ამ მიზნით მივმართეთ პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რათა გაეკეთებინათ დამატებითი განმარტებები, თუმცა, კომისიის სხდომას არ დაესწრო პრეზიდენტის ადმინისტრაციის არცერთი წარმომადგენელი. მათ გამოაგზავნეს პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ პრეზიდენტის განცხადება მთლიანად ემსახურება მოწოდებას 26 ოქტომბერს თავისუფალი, სამართლიანი და დემოკრატიული საარჩევნო პროცესისა და არჩევნებში ამომრჩეველთა მაქსიმალური აქტივობის უზრუნველყოფას. ამასთან, ბატონი რატის თქმით, შესაძლოა, იკვეთებოდეს საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა, რადგან უშუალოდ პრეზიდენტის ადმინისტრაცია წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მან აღნიშნა, რომ ზემოდასახელებულ წერილში არ არის გათვალისწინებული იმ ლეგიტიმურ კითხვებზე პასუხი, რომლებიც უწყებათაშორის კომისიას აქვს; მაგალითად: „კოორდინაციის გაწევა არჩევნების დღეს“ – ბუნდოვანია, რა მოიაზრება კოორდინაციის გაწევაში; გაურკვეველია, ასევე, თუ რა იგულისხმება ფრაზაში – „შემდეგ ერთად გამარჯვებაც ვიზეიმოთ“; ვინ არის პრეზიდენტის მოწოდების ადრესატი; რომელ სუბიექტებს მიემართება მოწვევა და არიან თუ არა ისინი კონკრეტული პოლიტიკური პარტიები; გულისხმობს თუ არა პრეზიდენტის მოწოდება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის სამდივნოს, რომ კიდევ ერთხელ გაეგზავნოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას

დამაზუსტებელი კითხვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მოწვეულ იქნეს წარმომადგენელი მომდევნო კომისიის სხდომაზე განმარტების გასაკეთებლად.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ შემდგომ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა კახეთში პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ლევან მეტრეველზე თავდასხმას, სიტყვა გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ბატონ ალექსანდრე დარახველიძეს.

ბატონმა ალექსანდრემ განაცხადა, რომ, 2024 წლის 7 ოქტომბერს „ნიუ ჰოსპიტალსის“ ექიმის შეტყობინების საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის გურჯაანის რაიონულ სამმართველოში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება აქციის მონაწილე ლევან მეტრეველის მიმართ განხორციელებული ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე; გასაუბრების ოქმი შედგა ადგილობრივ მცხოვრებლებთან, რომლებიც გამორიცხავენ შემთხვევის დროს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს; 2024 წლის 7 ოქტომბერს პოლიციის თანამშრომლების მიერ სატელეფონო კომუნიკაცია შედგა ლევან მეტრეველთანაც, რომელმაც განაცხადა, რომ იმყოფება სახლში და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ შეძლებდა გამოკითხვაზე მისვლას. ამასთან დაკავშირებით შედგენილია შესაბამისი სატელეფონო გასაუბრების ოქმი. წარმოების მასალებში, ასევე, მოიპოვება ადვოკატთან გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომლითაც ირკვევა, რომ ლევან მეტრეველს აქვს ტვინის შერყევა და ამ მდგომარეობის გამო ვერ მოდის პოლიციის დანაყოფში, გამოჯანმრთელების შემდეგ კი სურს, რომ მაგისტრატ მოსამართლესთან მოხდეს დაკითხვა. ბატონი ალექსანდრეს თქმით, ამ ეტაპზე, რაც მოძიებულ იქნა და რაც გასაუბრების შედეგად გახდა ცნობილი, ადგილი ჰქონდა შემდეგ ფაქტს: 2024 წლის 6 ოქტომბერს, დაახლოებით, 16:45 საათზე, პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მართავდა მოსახლეობასთან შეხვედრას. პარტიის წევრები მოსახლეობას მშვიდ ვითარებაში აცნობდნენ პარტიულ შეხედულებებს და გეგმას, ჰქონდათ შესაბამისი პლაკატები და

მაისურები, რომლებზეც დატანილი იყო წარწერა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ციფრი „5“. ჯამში, შეკრებილი იყო პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, დაახლოებით, 50 წევრი/მხარდამჭერი და, დაახლოებით, 20 ადგილობრივი მოსახლე. 17:00 საათზე კამპანიის მონაწილეებმა დაიწყეს სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება მოსახლეობისთვის და მოუწოდეს მათ, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში არ მიეცათ ხმა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსთვის“. ამის გამო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებსა და მოსახლეობას შორის დაიწყო სიტყვიერი შელაპარაკება. ადგილობრივებმა გამოხატეს პროტესტი და მოუწოდებდნენ კამპანიის მონაწილეებს, მშვიდობიანად დაეტოვებინათ ტერიტორია. ავტობუსში მყოფმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა წევრმა მოსახლეობას მიმართა უშვერი სიტყვებით და დაუწყო გინება, რის გამოც მოსახლეობასა და პარტიის წევრებს შორის მოხდა ორმხრივი სიტყვიერი შეურაცხყოფა და ე.წ. ძიძგილაობა, თუმცა, ფიზიკური შეურაცხყოფის, დარტყმის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ე.წ. ძიძგილაობა გაგრძელდა, დაახლოებით, 5 წუთს და ამის შემდეგ აქცია, დაახლოებით, 15 წუთის განმავლობაში გაგრძელდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ ძალიან კარგი იქნება, თუ თავად ბატონი ლევან მეტრეველი გამოცხადდება პოლიციაში და სამართალდამცავ უწყებას მიაწვდის დეტალურ ინფორმაციას, რათა გაგრძელდეს გამოძიება და პოლიციას ჰქონდეს სრული ინფორმაცია მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

ბატონმა ალექსანდრემ, ასევე, ისაუბრა იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა თბილისში, ვარკეთილში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის დარბევას. მისი თქმით, მოძიებულ იქნა ინფორმაცია როგორც 112-ის მეშვეობით, ისე შესაბამის რაიონულ პოლიციაში, თუმცა, არანაირი შეტყობინება არ ფიქსირდება ამ ფაქტთან დაკავშირებით, რომ რაიმე დანაშაულებრივ ქმედებას ჰქონდა ადგილი; თუ პარტიის წევრები ან ქმედებისგან დაზარალებული პირები მიმართავენ პოლიციას და მოითხოვენ შესაბამის რეაგირებას, ეს უკანასკნელი მზადაა, განახორციელოს საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

შემდეგ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სოციალურად დაუცველი პირების საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმებას, თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ცესკო-ს წარმომადგენელს, ბატონ გიორგი სანტურიანს.

ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებასთან დაკავშირებით პროცესები განვითარდა ერთი თვის წინ და კომისიები დაკომპლექტდა კონკურსის წესით; ზოგიერთ მათგანთან დაკავშირებით წარიმართა დავები, მათ შორის, ეს შეეხებოდა აჭარის საოლქო საარჩევნო კომისიებს; არცერთ შემთხვევაში რაიმე კანონდარღვევა განხილვის შედეგად არ დადგენილა და დავა შემდგომში აღარ წარმართულა სასამართლოში. რაც შეეხება უშუალოდ აღნიშნულ საკითხს, თუ რამდენად შეიძლება იყოს კანონდარღვევა სოციალურად დაუცველების თუ სხვადასხვა სოციალურ პროგრამაში ჩართული პირების საოლქო თუ საუბნო საარჩევნო კომისიებში დასაქმება, ამაზე პირდაპირ ამბობს კანონმდებლობა, რომ, თუკი საუბნო საარჩევნო კომისიაში დასაქმდება პირი, რომელიც სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში იმყოფება და იღებს შესაბამის შემწეობას, მას არ შეუწყდება აღნიშნული შემწეობა. შესაბამისად, კანონმდებლობა უშვებს შესაბამისი დახმარების მიღების საშუალებას და, ამავდროულად, საუბნო საარჩევნო კომისიებში დასაქმებას. მსგავსი ჩანაწერია დასაქმების პროგრამასთან დაკავშირებითაც. ბატონი გიორგის თქმით, კანონმდებლობა ამ თვალსაზრისით რაიმე შეუთავსებლობას არ ითვალისწინებს და რაიმე დარღვევას ამ მხრივ ადგილი არ აქვს.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ბოლო ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ზუგდიდში მოქმედ არაფორმალურ შტაბს, სადაც საჯარო მოხელეები იკრიბებიან და მოქალაქეების მოსყიდვის გეგმებს განიხილავენ, სიტყვა გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს.

ბატონმა ნიკოლოზმა განაცხადა, რომ სიუჟეტში რამდენიმე შესაძლო დარღვევაზე იყო საუბარი; სიუჟეტის კადრებიდანაც დასტურდება, რომ არის 12 ოქტომბერი, შაბათი დღე და ამ ვიდეოში იდენტიფიცირდება ზუგდიდის მერის პირველი მოადგილე. შესაბამისად, მას უფლება ჰქონდა, ყოფილიყო ნებისმიერ ადგილზე. რაც შეეხება სხვა საჯარო მოხელეებს, ისინი ამ ვიდეოში არ იდენტიფიცირდებიან და რომც ჰქონოდა ადგილი ამგვარ რამეს, გასათვალისწინებელია, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა შაბათ დღეს. იმ ადგილის შესახებ, სადაც ვიდეოკადრებია გადაღებული, ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, რომ სახლის მესაკუთრესთან კავშირს კატეგორიულად უარყოფს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და არანაირი ფარული შტაბი არ არის ეს შენობა, რადგან იგი არის ფიზიკური პირისგან იჯარის ხელშეკრულებით აღებული ქონება, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ საუბნო/ზონალურ საარჩევნო შტაბს. შესაბამისად, იქ მოქალაქეები ყოველდღიურად დილიდან საღამომდე ეწევიან სხვადასხვა საქმიანობას, როგორც ხდება ხოლმე ეს ჩვეულებრივ პარტიულ ოფისებში.

ამის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარეს, ბატონ დანიელ დავითაშვილს და ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ თავმჯდომარეს, ბატონ გრიგოლ გაგნიძეს. მათ მოსაზრებები გამოთქვეს არჩევნებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.

დასასრულ, ბატონმა რატი ბრეგაძემ კიდევ ერთხელ მიმართა კომისიის სამდივნოს, რომ გაეგზავნოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას დამაზუსტებელი კითხვები მის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით და მოწვეულ იქნეს მათი წარმომადგენელი მომდევნო კომისიის სხდომაზე განმარტების გასაკეთებლად. ამასთან, მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები, ფაქტობრივად, უწყებათაშორისი კომისიის არცერთ სხდომას არ დასწრებიან და ეს ტენდენცია კვლავაც გრძელდება, რაც სამწუხაროა. ბატონმა რატიმ თხოვნით მიმართა სხდომაზე დამსწრე დამკვირვებელ

ორგანიზაციებს, რომ ეს ფაქტი ასახონ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ თავიანთ დასკვნებში.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს კომისიის მუშაობაში ჩართვისთვის.

კომისიის თავმჯდომარე: რატი ბრეგაძე

კომისიის მდივანი: მანანა ბეგიაშვილი